დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 62 პარასკევი, 19 მარტი 1910 წ. № 62

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის ... მეთხრობები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ... № 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ილია, ელენე, ლევან. ნიკოლოზ, ივანე და ალექსანდრე ნაკაშიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ 15 მარტს უეცარ გარდაცვალებას მათის ბიძის

თავ. თევდორე გიორგის ძის ნაკაშიძისას.

მიცვალებულის გამოსვენება დღეს, პარასკევს 19 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე. ტფილისის სადგურიდან რკინის გზით მიცვალებულს წაასვენებენ სად. ნატანებში. 20 მარტს, დილის $7^1/_2$ საათზე ნატანებიდან წაასვენებენ სოფელ ციხეში, სადაც დაკრძალვენ საგვარეულო აკლდამაში. (2—6.—2)

15 მარტს, საღამოს 10 საათზე, ტრაგიკულად გარდაიცვალა სამსახურს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი

თავ. თევდორე გიორგის ძე ნაკაშიძე,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ძმის წულები და დის წულები.** მიცვალებულის გამოსვენება დღეს, პარასკევს 19 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. ტფილისის სადგურიდან რკინის გზით მიცვალებულს წაასვენებენ სად. ნატანებში 20 მარტს, დილის $7^1/_2$ საათზე, ნატანებიდან წაასვენებენ სოფელ ციხეში, სადაც დაკრძალვენ საგვარეულო აკლდამაში. (2—187—2)

ბესარიონ დავითის ძე გოგოხია შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 19 მარტს, საყვარელ მეუღლის

ანასტასია (ტასიკო) ალექსის ასულის გოგოხიას

გარდაცვალების მეცხრე დღეს, კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და შემდეგ საფლავზე პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის $9^1/_2$ საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (1—188—1)

ვიტოლდი ფლორიანის ძე ვორონოვსკი

15 მარტს, დილის 12 საათზე, გამხნევებული და დამშვიდებული წმიდის ეკკლესიის საიდუმლოებით, მიიცვალა, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართ და ნაცნობთ **ფილომენა სტეფანეს ასული ვორონოვსკისა, სტეფანე პავლეს ძე და მართა ზაქარიას ასული ფეიქაროვები** შვილებითურთ—პირველი თავის საყვარელ და დაუვიწყარ მეუღლის, დანარჩენნი სიძისას. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე; გამოსვენება შაბათს, 20 მარტს, დილის 9 საათზე (გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი) რომის კათოლიკეთა ეკკლესიაში და იქიდან საფიჩხიის სასაფლაოზე. კერძო მიწვევის ბარათები არ დარიგდება. (2—კვ.—1)

ქართული თეატრი
პარასკევს, 19 მარტს, 1910 წ.

ნინო კოლხიდელი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის დახმარებით გამართავს წარმოდგენას კონცერტითურთ. წარმოდგენილი იქნება:

პირველი ბუზი

მხიარული კომედია 3 მოქ. ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული.
მონაწილეობას იღებენ: ნ. კოლხიდელი, ა. კარგარეთელი, ნ. გამყრელიძე, ბ. ასათიანი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ა. იმედაშვილი, გ. იშხნელი, დ. მგალობლიშვილი, კ. ქელიძე დი სხვანი.

II

დივერტისმენტი

ვანო სარაჯიშვილი—იმღერებს რომანსებს. **ი. პიასეცკი**—წაიკითხავს ლექსებს და სცენებს. **ვ. აბაშიძე და გედევანოვი**—იმღერებენ კომიკურ კუპლეტებს. **ნ. კოლხიდელი**—წაიკითხავს ლექსებს. **გ. იშხნელი**—წაიკითხავს ლექსებს. **ნ. ერისთავი**—წაიკითხავს ლექსებს. **ი. გრიშაშვილი**—წაიკითხავს სცენებს და ლექსებს.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

(3—2) ადგილების ფასი ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ვ. ხ. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.
ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა—ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—6.—298)

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი **ყურადღება კოლოფზე** ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის **შვილებისას.** (45—151—32)

ქართული თეატრი
შაბათს, 3 აპრილს, წარმოდგენილი იქნება:

ბებრის საღერღელი

კომ. 1 მოქ. აწყურელისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, ტ. აბაშიძე და ბ-ნი ვ. აბაშიძე.

II

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არტისტი ქალი კოლოტოვისა, ბ-ნნი ევლახიშვილი, **ივანე სარაჯიშვილი და პალცევი.**
სხვათა შორის შეასრულებენ: 1) კოლოტოვისა და სარაჯიშვილი ორკესტრით დუეტს ოპერა „რიგოლეტტოდან"; 2) სარაჯიშვილი ორკესტრით არიას ოპერა „კარმენიდან"; 3) ევლახიშვილი ორკესტრით—არიას (სურათის წინ) ოპერა „ბალ-მასკარადიდან"; 4) სარაჯიშვილი ორკესტრით—არიას ოპერა „მარგალიტის მაძიებლებიდან"; 5) ევლახიშვილი—არიას ოპერა „დონ-ჟუანიდან".
ამავე საღამოს ბ-ნი **სარაჯიშვილი** პირველად შეასრულებს ორკესტრით **არაყიშვილის** ახალ ოპერიდან, „**შოთა-რუსთაველიდან**" მგოსნის არიას.
ყველა ზემოქმე ნახსენები ნომრები სარაჯიშვილის მიერ ქართულად იქნება შესრულებული. **ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში**
წარმოდგენისა და კონცერტის მოთავე **ი. კარგარეთელი.**
დასაწყის სწორედ 8 საათზედ. (5—6.—4)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- დ... ხას. 1—2 ს.
დღე; გარდა კვირა. 11-12 ს...
გედევანიშვილი მ. ა. ნერ... ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—...
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., ...
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
მუსხელიშვილი ვ ს. თვალის, ორშ., ... პარასკ. 2 2-ნახ. ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე
პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
ხობოლევსკი გ. მ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—135)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი დ. ახვლედიანი იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი მ. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—85

ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—6.—42

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი პ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი შ. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კახეთის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—53)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ალორნის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—392)

ექიმი ქუთაისში ფ. ი. გასნევსკი იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. გაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—10)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—29)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—126)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—143)

ქუთაისში
კბილის ექიმი ა. ა. ბუტულოვისა იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—2

ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში გ. დ. ბეთანოვი მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სნენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—17)

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე **ჰერგარტ ჰაუპტმანის** ცნობილი დრამა
ფეიქრები
თარ. ივ. ახალშენიშვილის მიერ წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და პ. კოგანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში სამი წლის განმავლობაში ორასჯერ დასდგეს. დრამის შინაარსი აღებულია გასულ საუკუნის ორმოციან წლების გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.
წიგნი ღირს **50** კაპ.
მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ალიონი"-ს გამგე ვ. გადილიასთან.
პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Кирочная ул. N 9. Василію Гадилія. (10—5)

ჟურნალ „სხივის"-ს ხელის მომწერთა და მკითხველთა საყურადღებოდ.

რადგან ჟურნალი „სხივი"-ს გამოცემა დღეიდან ჩემზე გადმოვიდა, ჟურნალი კვლავ იწყებს გამოსვლას იმავ პროგრამით და იმავ შინაარსით, როგორც ამდენ ხანს გამოდიოდა. მორიგი № 12 გამოვა კვირას, 28 მარტს, (ტფილისში გაიყიდება შაბათს, პროვინციებში გაიგზავნება პარასკევს, 26 მარტს). დღეიდან ყოველივე წერილები და ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ Типографія „Культура". Вельяминовская улица, Валеріану Михайловичу Биланову.

ვსთხოვ, იმ ხელის მომწერთ, რომელსაც რომელიმე ნომერი არ მიუღია, შეგვატყობინოს, რომ გავუგზავნოთ.

წლიური ხელის მომწერნი ყველა ნომრებს უკლებლივ მიიღებენ პრემიებითურთ.

(3—3) **ვალერიან ბილანიშვილი.**

დემოკრატიის გაერთიანება

ვ. *)

ყველა ამას რომ ვაკვირდები, გულს რაღაც უცნაური ჰმუნვა ეწვევა ხოლმე. რაც გინდა სთქვით, საკვირველი რამაა ქართველ ადამიანის ბუნება. ჩვენ ყოველთვის ის გვინდა, რაც საუკეთესოა, რაც ყველაზე მეტად და აშკარად პროგრესიულია, რაც დიდებულია სანახავობით და წარმტაცი გარეგნობით. თუ ბრძოლა გვაქვს სახეში, ისეთს სურათს დავხატავთ, რომ ფანჯრებს ზანზარი გაჰქონდეთ. თუ სამართლიანობისთვის ვიბრძვით, ისეთ სიტყვებს ვხმარობთ, რომ ვაცახცახებთ ბოროტებას. განსაკუთრებით კი ის გვიყვარს, რომ აქ შინ, ჩვენს პატარა სამშობლოში, მსოფლიოს მნიშვნელობის ამბები ხდებოდეს. მართალია, ჩვენი ავლადიდება დიდი არ არის. სოფლად დაფლეტილი ფარაჯა, დაბა-ქალაქად უბადრუკი სამიკიტნო. აი, ჩვენი ნაციონალური ინსტიტუტები. და სოფლელსაც და მიკიტანსაც რომ შემოსძახოთ „რუკი ვერხუ", პირველი გაცვეთილ ქალამანს და დაფლეთილ ფარაჯას გადმოგიგდებს, მეორემ იქნება სუფრა გაგიშალოს და საგზაო ორი მანეთი ფული მოქცეს—ეგებ თავიდან მომშორდეო. მაგრამ რა საკადრისა ამაებზე ფიქრი, აზრი შორს მიდის. დიდებულ სასახლეებს ხედავს ელექტრონით გაჩაღებულებს და შიგ მაძღარი და ბედნიერი ხალხი. ნათელ დარბაზებში თფილა და სილამაზეა. კოხტად მორთული ქალ-ვაჟნი ერთმანეთს ეკურკურებიან. მოსამსახურეები კი სანადიმო სუფრას შლიან. გარედ კი, ყინვასა და სიბნელეში, ათასობით ირევა დამშეული ხალხი. შეჰყურებს დიდრონ განათებულ ფანჯრებს, ადევნებს თვალებს მოპრანჭულ და მოკაზმულ ქალ-ვაჟთ და სიბრაზით ნაღველი ევსება, ძალას იკრეფს და ყვირის: ძირს მაძღარნო, ძირს სასახლის კოშკნო, გზა, მოვდივართ ბედნიერების საძებნელად, სამართლიანობის აღსადგენად... და ამასობაში უეცრად გვეღვიძება, ვირკვევით ოცნებისაგან და ისევ ის ფარაჯა, გაცვეთილი ქალამანი და სამარისებური სიჩუმე და მყუდროება გვეჩხირება თვალწინ. და მაგიზრებელ სურათს თავიდან მოსაშორებლად ისევ შორს, ხმელეთის და ზღვის კიდის იქით მიდის ჩვენი ოცნება.

ან კიდევ, ვინა სთქვა, რომ გულუხვი ხალხი არა ვართ? ამ რამდენიმე წლის წინად, რევოლიუციის დროს, საფრანგეთში, თუ არა ვცდები, კარიერში, მოხდა უბედურება. მაღაროში აფეთქება მოხდა და ბევრი მუშა ხალხი დაიღუპა. მოვიდა თუ არა ეს ამბავი ჩვენში, მეორე დღესვე გორში (მაშ სად, თუ არ ქართლის ცენტრში!) ფულს აგროვებდნენ დაზარალებულ ოჯახების სასარგებლოდ. გაიგზავნა თუ არა ეს ფული, არ ვიცი, მოგროვებით კი აგროვებდნენ. გულუხვობაა, ინტერნაციონალიზმია, მა რა ჯანდაბა არის ყოველივე ეს? მაგრამ ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ დღეს რომ მუხრანიანთ ხიდი ჩატყდეს და ზედ მომუშავე მუშები მტკვარში ჩაცვივდნენ, ორ და ათ შაურს ვერ მოაგროვებთ დაზარალებულ ოჯახების სასარგებლოდ. რატომ? იმიტომ, რომ ეგ ტფილისშია და აბა რა პოეზიაა ჩაქცეული მუხრანიანთი ხიდი! სულ სხვაა კარიერი, ფრანგი მეშები, პარიზი, ბარიკადები, კომუნა და სხვა ამგვარი. და აბა გორელების გულმა როგორ უნდა გასძლოს ამ სურათის გახსენების წინაშე! რუსეთის ჩრდილოეთი გუბერნიები სავსეა გადასახლებულ პოლიტიკურ-დამნაშავე ქართველებით. ეს საცოდავი ხალხი მშიერ-მწყურვალი იტანჯება ცივ ქვეყანაში. არავის აგონდება ისინი,—ჩვენებურებია და სხვისი გაჭირვება კი გულს გვითუთქავს. რომ ვსთქვათ, ქრისტეს მოყვარე ხალხი ვართ, არც ეს იქნება მართალი. ქრისტეს მიმდევარი ადამიანი არასოდეს არ არის ფუქსავატი, ტრაბახი და გარეგნულ ფორმების და ცხოვრების წამბაძველი. ჩვენ კი სწორეთ ეს გარეგნობა გვხიბლავს. შიგ არ ვიყურებით, უსუსურ ბავშვებისავით ევენებისაკენ გაგვიშვერია თათები და, სანამ ხელებს წკეპლა არ მოხდება, თითებს არ ვარიდებთ სათამაშოს.

დიაღ, წამბაძველობა ერთი დამახასიათებელი თვისებთაგანია ჩვენი ხასიათისა. უკულტურო ხალხი ყოველთვის წამბაძავია. შავ-კანიან ზულუსს სერტუკსა და ცილინდრში მეტად უყვარს გამოჭიმვა. რაკი ცილინდრს ჩამოიცვამს, ევროპიელი და განათლებული ჰგონია თავისი თავი. ჩვენი „საზოგადოების" ერთი დიდი ნაწილის გასოციალ-დემოკრატება განა იმავ წამბაძველობის კანონის ძალით არ მოხდა! როცა გატყავებული გლეხი ემხრობოდა ს.-დემოკრატ. კომიტეტებს, გასაკვირი არ არის, რადგან ს.-დემოკრატიაში იგი ახალ აღთქმას ჰხედავდა და ტანჯვებისაგან განთავისუფლებას მოელოდა. მაგრამ როდესაც მღვდელი, თავადი ერი და ბერი ერთ ტალღას აჰყვნენ, აქ უსათუოდ დაშინებულ გრძნობის გარდა წამბაძველობის ელემენტი უნდა მოსძებნოთ. ჩემი მეზობელი რითი მჯობნის, რომ ის სოციალ-დემოკრატი იყოს, მე კი ვიღაც უსახელო ადამიანი! ჩემი „პროგრამაც" იმისას არ ჩამოუვარდებაო. აქ უნებლიეთ მაგონდება ერთი თქმულება, რომელიც, კარგად ახასიათებს ჩვენს ზნეს.

ერთ დიდებულ თავადიშვილს მიუწვევია სადილად წარსულ საუკუნეში ჩვენში ნამესტნიკად ნამყოფი თ. ვორონცოვი. თავადი საგანგებოდ გაუმასპინძლდა სტუმარს. ამბავი ზემო იმერეთში იყო და იმერეთის თავადობა მოწვეული იყო ნადიმზე. დაჰკლეს ძროხები, მონადირეებმა ჩამოიტანეს ხოხბები, მწყერ-ირმები. დახელოვნებულმა მზარეულმა საგანგებო საჭმელები დაამზადა. რა არ მიართვეს სტუმრებს? ბეჭი გინდა, სალავები, შემწვარ-მოხარშულ-მოხრაკულები. ბოლოს ხილიც მოართვეს სტუმრებს. და როდესაც ყოველივე ეს გაათავეს, მიართვეს და ჩაიტკბანურეს, მოსამსახურეებმა, მოულოდნელად, შემოიტანეს დიდრონ

*) იხ. „დროება" N 61.

შპალერი
8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო
ძმ. ტარნოპოლების
საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.
განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.
ფასები საფაბრიკოა.
ნიმუშები უფასოდ. (50—1046—2)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

„ბლუდებზე" დალაგებული კატლეტები. ვორონცოვმა არ შეიმჩნია გაკვირვება და თუმცა დაკმაყოფილებული იყო, აიღო მაინც ორი კატლეტი და ორივე მიირთო. სადილის შემდეგ თ. ბებუთოვი, რომელიც ახლდა ვორონცოვს, მივიდა მასპინძელთან და უთხრა: კნიაზო, რა მოგივიდა, რაზედ გააფუჭე ასეთი მეფური სადილი, კატლეტი რაღა შემოსატანი იყოვო?—ბეჩა, მიუგო თავადმა, მე კაი მეგონა, რუსებს კატლეტი უყვართ და მეც პატივი ვეცი სტუმარსო. მეორე დღეს მეორე დიდებულმა თავადმა მიიწვია ვორონცოვი სტუმრად. ხოლო აქ კი თ. ბებუთოვმა ვერ მოითმინა და გააფრთხილა მასპინძელი—შენ მაინც ნუ შეირცხვენ თავს და სადილის შემდეგ კატლეტს ნულარ შემოატანინებო.—კაი, შენი ჭირიმე, დაჰპირდა მასპინძელი. სადილზე აქაც აუარებელი საგანგებო საჭმელ-სასმელი მოართვეს სტუმრებს, ხოლო სადილის შემდეგ ისევ მოულოდნელად შემოიტანეს კატლეტი უზარ-მაზარ „ბლუდებით". ვორონცოვმა აქაც გამოიჩინა ზრდილობა. აიღო ორი კატლეტი და წარბ-შეუხრელმა მიირთო. თავადი ბებუთოვი კი გაბრაზებული იყო და სადილის შემდეგ მივიდა მასპინძელთან და მკვახეთ უთხრა: კნიაზო, აკი დამპირდი, კატლეტი არ იქნებაო.—მაგი რავა იქნება, ბატონო, გუშინ ჩემი მეზობელი კატლეტით გაუმასპინძლდა სტუმარს და მე რა მისი მაჩანჩალა ვარ, თავს ხომ ვერ შევირცხვენდი ქვეყანაშიო.

ასეთები ვართ ცხოვრებაში. სიტყვა გამიგრძელდა, საგანს დავშორდი. მაგრამ უნდა ითქვას, რაც სათქმელია. ს.-დემოკრატებიც გვიწვევენ სალაპარაკოთ. მათ იმედი აქვთ, რომ ლაპარაკის დროს „შევტოპავთ", უარვყოფთ ჩვენს წინანდელ რწმენას და აშკარად დავანახვებთ ჩვენს ბურჟუაზიულ მიდრეკილებას. და თუმცა ძლიერ მოხარული ვიქნებოდი, რომ რითიმე მესიამოვნებინა ჩვენი „მსაჯულ-პროკურორები", მაგრამ ჩემი სურვილი განუხორციელებელი დარჩება, რადგან სინამდვილის კრიტიკა, „უხეირო სოციალიზმის" გმობა, დანახვა იმისი, რისი დანახვაც საჭიროა სრულიად არ ნიშნავს სოციალისტურ პრინციპების უარჰყოფას და გმობას. პირიქით, ჩვენის აზრით, ამგვარი კრიტიკა შეჰქმნის ნამდვილ პირობებს იმისათვის, რომ სოციალიზმი ჩვენში სოციალურ ცხოვრების მოწესრიგებელ ძალად გახდეს და აღარ იყოს ის სამასხარაო კარიკატურა, როგორადაც იგი ისახება დღეს ჩვენს ქვეყანაში. დიაღ, სათქმელი ბევრი რამ გვაქვს. გაჩვენებთ ჩვენს თავს. მხოლოდ თქვენს სახესაც დაგანახვებთ და ნუ დაგვემდურებით, თუ საწყენი რამე გითხრათ. საჩხუბრათ არ მოვსულვართ. თუ ჩვენს თავს არ ვზოგავთ და ხმა მაღლა ვაღვიარებთ ჩვენს შეცდომებს (არა იმას, რომ სოციალისტები ვიყავით, როგორც თქვენ გგონიათ, არამედ იმას, რომ ბეცი სოციალისტები გამოვდექით), თუ აშკარად ვამბობთ, რომ საჭიროა გადასინჯვა ჩვენის მსოფლ-მხედველობისა თანხმად აწინდელ ისტორიულ პირობებისა, ნუ ჯავრობთ, რომ თქვენც გიწვევთ ამ საქმისათვის და თქვენც გავალებთ შეცდომების გასწორებას, რადგან ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინტერესი, მშრომელი ხალხის და ეროვნულ კულტურის მომავალი. მუდამ ჟამს მშრომელ ხალხს იხსენიებთ, მის გარშემოა თქვენი ფიქრი და ძალიან გწყინთ, როდესაც გისაყვედურებენ, ეროვნულ კულტურისადმი გულ-გრილობას იჩენთო. თუ ეს ასეა, გულდასმით უნდა მოგვისმინოთ და არ გაწყრეთ, რომ ჩვენი აზრი თქვენ აზრს არ ეგუება. აზრის სხვა და სხვაობა კარგი საქმეა, მაგრამ ზოგიერთ ისტორიულ მომენტებში და ერის ზოგიერთ პირობებში საჭიროა ყველა პროგრესიულ ელემენტების ძალთა კონცენტრაცია, საჭიროა ერთი აზრის შემუშავება, ერთი გრძნობის, მისწრაფების შექმნა ერის ყოფნა არ ყოფნის საკითხის წამოყენების დროს. და დღეს ამგვარი საკითხი არსებობს ჩვენთვის და უნდა არსებობდეს თქვენთვისაც, რადგან ერთი ხალხის შვილნი ვართ და ერთი ბედი მოგველის როგორც ჩვენ, ისე თქვენ. ვიცით, რომ თქვენს ტუჩებზე ღიმილი ჩნდება, როდესაც ამგვარ სიტყვებს კითხულობთ „მებრძოლ ნაციონალიზმის" გაზეთებში. ვიცით, რომ თქვენ პესიმისტიურად არ აზროვნებთ, ყოველთვის იმედები გაქვთ და ყოველთვის ბრწყინვალე მომავალი გიდგათ თვალწინ. მაგრამ ან თქვენს ამ ღიმილს და ოპტიმიზმს არავითარი ფასი არა აქვს, ან გასაგების, ადამიანურის ენით უნდა სთქვათ, რაზედ ამყარებთ თქვენს იმედებს, თუ, რა თქმა უნდა, ეგ დასამალი არ არის და სათაკილო არ იქნება თქვენის ღირსებისთვის „მებრძოლ ნაციონალიზმისთან" გამოლაპარაკება. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ხტუნაობა ისეთივე უნაყოფო იქნება, როგორიც იყო ზღაპრულ ვაჟის ქენება, მინდორთ ქალს რომ გამოეკიდა. გაექცა ქალი ვაჟს. ვაჟის ცხენი გადადის ერთ გუთნის გაშლაზედ, ქალი კი ორ გუთნის გაშლაზე ხტება. „მირბოდა ქალი, ხტებოდა სამ გუთნის გაშლას, მიჰყვებოდა ვაჟი, მაგრამ ორ გუთნის გაშლას ძლივს გადადიოდა იმისი ცხენი". ვერ იქნა, ქალი ხელში ვერ ჩაიგდო. ან იქნება თქვენი რაში უფრო მარდია?—დაგვანახვეთ, გამოიყვანეთ თავლიდან, გაგვამხნევეთ და ქებას შეგასხამთ.

არჩილ ჯორჯაძე.

(დასასრული ხვალ)

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

კანონ პროექტი ფინლიანდიის შესახებ.

17 მარტის სხდომაზე სათათბირომ მიიღო სამინისტროსაგან კანონ-პროექტი, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთელ რუსეთში და ევროპის ყურადღებაც მიიქცია. მოკლე შინაარსი ამ კანონ-პროეტისა დეპეშებში უკვე იყო. იგი შეეხება რუსეთსა და ფინლიანდიისთვის საერთო კანონებისა და წესების გამოცემას. 30 დეპუტატმა წინადადება შეიტანა, ამ კანონ-პროექტის განსახილველად არჩეულ იქმნას კომისია 21 კაცისაგან. კამათი იყო იმაზე, გადაეცეს კანონ-პროექტი კომისიას თუ არა. ჩაეწერა 15 ორატორი.

მილიუკოვმა (კადეტი). ერთს საათს ილაპარაკა, მაგრამ სამწუხაროდ, მისი სიტყვა არეულად და მოკლედ არის დეპეშით გადმოცემული. მან სთქვა: ახალი კანონ-პროექტი ძირიანად სცვლის უფლებრივ წყობილებას ფინლიანდიის სახელმწიფოს, ფინლიანდიის დიდ სამთავროსას (ხმები მარჯვნივ: „სახელმწიფო არ არის ფინლიანდია, უკან წაიღეთ „სიტყვები" ხმაურობა) ყველანი აღელვებული იყავით ბოსნიის ანექსიის გამო, მაგრამ ეს ანექსია არაფერია იმასთან, რასაც ეხლა ფინლიანდიას უპირებენ. არსებითად კანონ-პროექტის მიღება არ შეიძლება, რადგან იგი რუსეთის დაწესებულებებს ანიჭებს უფლებას სხვის უფლებრივ წყობილების გაუქმებისას. მე და ჩემ პოლიტიკურ ამხანაგებს შეუძლებლად მიგვაჩნია კანონ-პროექტის მიღება. მთავრობა მოითხოვს ჩვენგან, მონაწილენი გავხდეთ უკანონო აქტისა. სათათბიროს ენიჭება ისეთი უფლება, რომელიც მას არ ეკუთვნის (სტვენა მარჯვნივ), უნდათ განახორციელონ ის შემცდარი აზრი, ვითომ რუსის ადმინისტრატიული და საკანონ-მდებლო დაწესებულებანი უმაღლესი ინსტანცია იყოს ფინლიანდიის ასეთსავე დაწესებულებებისთვის. ამ კანონ-პროექტით უნდა დამყარდეს ახალი წესი საერთო კანონების შემოღებისა. მაგრამ უნდათ, თვითონ ეს კანონ-პროექტი იმ წესით განახორციელონ, რა წესის შემოღებასაც შემდეგისთვის ფიქრობენ ამ კანონ-პროექტით. ფინლიანდიის ძირითად კანონების ძალით, რუსეთის დაწესებულებებს არ შეუძლიანთ შესცვალონ ფინლიანდიის უფლებრივი წყობილება. ფინლიანდიის სეიმის წესდების (1869 წ.) მე-83 პარაგრაფის ძალით, ამ წესდების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ ხელმწიფის და სეიმის საერთო გადაწყვეტილებით. ჩვენი მთავრობის მიერ დანიშნულმა სხვა და სხვა კომისიებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ამ პარაგრაფით ხელმწიფის უფლება შეზღუდულიაო. სეიმის ახალ წესდების მე-80 პარაგრაფში (ეს წესდება დამტკიცებულია ხელმწიფის მიერ 1906 წელს) სიტყვა-სიტყვით არის განმეორებული ძველი წესდების მე-83 პარაგრაფი. ყველა ჩვენი ხელმწიფე დღემდე ანგარიშს უწევდა ამ უფლებას. 1894 წელს 25 ოკტომბერს თვით ხელმწიფე-იმპერატორმა დაამტკიცა ფინლიანდიის ძირითადი კანონები და აღთქმა დასდო, უცვლელად დაიცვას სხვა კანონები და დადგენილებანი. ახალი კანონ-პროექტი კი ფინლიანდიის სეიმს უნდა წარედგინოს მხოლოდ თავის აზრის გამოსათქმელად, ესე იგი, სეიმი ხდება მხოლოდ მრჩეველ დაწესებულებად. ჩვენ ეხლა იმავე პოლიტიკას ვუბრუნდებით, რომელსაც 1899 წელს ვაწარმოებდით. ხომ გახსოვთ, რა აღელვება გამოიწვია ამ პოლიტიკამ. ფინლიანდიის ყველა დაწესებულებამ პროტესტი განაცხადა. ხალხმა გამოგზავნა პეტიცია, რომლებზედაც ნახევარ მილიონ კაცს ეწერა ხელი. მაშინ სასტიკ ზომებს მიჰმართეს—საგანგებო წესებს, ადმინისტრატიულ გადასახლებას და სხვას. ეხლაც ამავე გზას უნდა დავადგეთ. ახალი კანონ-პროექტი ჩვეულებრივის წესით უნდა წარედგინოს ფინლიანდიის სეიმს. 1906 წელს ვერ გაჰბედა მთავრობამ ის, რასაც ეხლა ჰბედავს. საკითხი გადასდეს. 1908 წელს კომისია ფიქრობდა: „ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ფინლიანდიაში დიდი უკმაყოფილება და პროტესტები იქნება, თუ ხელმწიფე მარტოდ-მარტო გადასწყვეტს საქმეს, ესე იგი, თუ ხელმწიფე თავის ნებით შესცვლის ფინლიანდიის ძირითად კანონებს და სეიმის წესდებას" და ამის თავიდან ასაცილებლად მოისურვეს ფინლიანდიისა და ხელმწიფის შუა რუსეთის სათათბიროს ჩაყენება, რომ ფინლიანდიელების უკმაყოფილება სათათბიროსკენ დარუნდეს. ორატორმა აღნიშნა, რომ თვით მთავრობის წრეში არიან ისეთნი, რომელთა აზრითაც რუსეთის ძირითად კანონებს ძალა არა აქვთ ფინლიანდიაზე. ასეთები არიან მინისტრი კოკოვცევი, მინისტრის ამხანაგი კრიჟანოვსკი, ფინლიანდიის ყოფილი გენ.-გუბერნატორი ბეკმანი. არის გარემოება და დრო, როდესაც ხელმწიფის სიტყვა უნდა იყოს უცვლელი და წარმოადგენდეს უფლების წყაროს. ხოლო ეს სიტყვა, რომ ასეთად დარჩეს, საჭიროა, რომ იგი სავალდებულო იყოს არა მარტო იმათთვის, ვისთვისაც ნათქვამია, არამედ თვით მთქმელისთვისაც (მარჯვნივ ხმაურობა). ხელმწიფის სიტყვით თამაშობა არ შეიძლება. ამ სიტყვის დარღვევისათვის პასუხის-მგებელია ის, ვისაც ხელმწიფე შეცდომაში შეჰყავს. ფინლიანდიის ხალხის პეტიცია მიმართულია რუსის ხალხის სინიდისის მიმართ; მთელი ფინლიანდია ყურს უგდებს, რას იტყვის თქვენი სინიდისი. ფინლიანდია გეკითხებათ: მზადა ხართ თუ არა ღვთისა და ისტორიის სამსჯავროს წინაშე თავს იდვათ პასუხის-მგებლობა მთელი ხალხის ზნეობრივ დაღუპვისთვის? გახსოვდეთ, რომ დღესაც სისხლით იცლება ის ჭრილობა, რომელიც პოლონეთს მივაყენეთ მისი უფლებების გაუქმებით. კადეტთა პარტია თავის დღეში არ დასთანხმდება, რომ სახელმწიფომ დაარღვიოს პატარა ხალხის ავტონომია, ამიტომ პარტია უარსა ჰყოფს კანონ-პროექტს. მისი კომისიაში გადაცემა არ შეიძლება. (ძლიერი ხმაურობა და სტვენა მარჯვნივ, ტაში მარცხნივ).

გრაფი ბენიგსენი შეეცადა იმის დამტკიცებას, რომ მთავრობა კანონიერად იქცევა. იგი უფრო მილიუკოვს ეკამათებოდა, ვიდრე საბუთები მოჰყავდა თავის აზრის დასამტკიცებლად.

გეგეჭკორიმ წაიკითხა სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის განცხადება, რომელშიაც ნათქვამია: კანონ-პროექტი პრინციპიალური ნაბიჯია, რომლითაც ძირი ეთხრება ფინლიანდიის კულტურას. ფინლიანდიისთვის ამ დუხჭირ ისტორიულ მომენტში ამ

კოცნა პირველი და უკანასკნელი

დრამატიული მინიატურა 1 მოქმედ.

გრიგოლ გესი.

მოქმედნი პირნი:

მანია—ახალგაზრდა ქალი.

ფედია—ციმბირიდგან გამოქცეული.

სარდაფი. მეტად ღარიბული მოწყობილება: სკამ-ლოგინი, რომელზედაც სძინავს ძონძებში გახვეულ ბავშვს. იმის გვერდით იატაკზე სძინავს მანიას. კედლის ლამპა ოდნავ ბჟუტავს. განთიადია.

ფედია (შემოიპარება ოთახში შუა კარებიდან) მანია! მანია! არ გესმის?.. (ჰხედავს იატაკზე. აღვიძებს) ადექი...

მანია. (ძილში) მომწყდი თავიდან!

ფედია. ჰო, კარგია... ადექი მეთქი, მანია.

მანია. რას ჩამცივებიხართ... თავი დამანებეთ! (გაახელს თვალებს და გაოცებული შეჰყურებს) ფედია!!.

ფედია. წყნარად, წყნარად. შე სულელო...

მანია. ღმერთო შენ მიშველე! ფუ, ფუ, ეშმაკო!..

ფედია. რისა გეშინიან სულელო... მე ვარ, მე, ფედკა, ცოცხალი და არა მკვდარი... აბა, ადექ, სტუმარს პატივი ეცი.

მანია (წამოდგება). რისთვის მოხვედი, შე უღმერთო, შენა? რა გინდა აქ?

ფედია. მოიცა და ყველაფერს გაიგებ... გაიხედე გარეთ, ხომ არავინ არის...

მანია. როგორ, შენა გგონ...

ფედია. (ყელში ხელს წაავლებს) ჩუმად, მოგკლავ! რასაც გიბრძანებ, აასრულე!..

მანია (თავისთვის ჩურჩულით). ოხერი... მხეცი!..

ფედია. აბა!?.

მანია. სიჩუმეა...

ფედია. ქისკარისაკენაც დაათვალიერე... მე ღობეზე გადმოველი... იქ ხომ არავინ არის?

მანია. (გადის გარეთ და ცოტა ხნის შემდეგ დაბღვერილი შემოდის) არავინ არის.

ფედია. (უჩვენებს კედელზე) იქ... ისევ გავრილკა სცხოვრობს?

მანია. ჩაჰბარდა პატრონს... რა ერთი ხანია, მიწა მიაყარეს!.. იობლებს დეიდა მისი უვლის... ეტყობა სძინავთ ..

ფედია. ეგეც ეგრე.., აბა ეხლა კი გამარჯვება შენი, მანია. პირს რად იბრუნებ? მაკოცე, შე საძაგელო, შენა. .

მანია (პირს იბრუნებს). თავი დამანებე!

ფედია. ერიპა!... კარგია... მე კი მოვეჭქარებოდი, მე, სულელი, მეგონა მამიალერსებს, გამიმასპინძლდება მეთქი...

მანია. როგორ არა... შენგან კარგი რო მახსოვს!..

ფედია. მანია, შენ ხომ ჩემი ცოლი იყავი. განა ცუდად ვსცხოვრობდით? მართალია, ხან და ხან ჩემს ხელებს თავისუფლებას ვაძლევდი, მაგრამ არც თუ შენ მაკლებდი. მაშ, რაღას მიჯავრდები? აბა, მაშ გამარჯვება შენი, მანია (ჰკოცნის).

მანია. (ტირილით) ჩემო მტანჯველო... რა არ ავიტანე... ღმერთო!..

ფედია. აბა დავსხდეთ, დავილაღე... წყალი დამალევიე. (მაგიდას მიუჯდება. მანია წყალს მიაწოდებს). საჭმელი რამ არ მოგეძებნება?.. პურის ნატეხი... მანია... რამდენი დღეა არა მიჭამია რა... ან ფეხზე როგორა ვდგევარ!

მანია. (უგირილით) არაფერი მაქვს, არაფერი!..

ფედ. ნელა, ნელა... რა უყოთ, რომ არა გაქვს... ხვალ ვიშოვნი... აი, წყალს კიდევ დავლევ. ო... ხო... ხო... მოდი, მანია, ჩემთან დაჯექ. წელიწად ნახევარია, რაც ერთმანეთი არ გვინახავს. გამხდარხარ...

მან. რა ჯანაბა გამასუქებდა... (დაჯდება).

ფედ. სახეც დაგჭკნობია... ცხოვრება გაგიძნელდა?

მან. ცხოვრება გამიძნელდა, შენ რომ სიმდიდრე დამიტოვე...

ფედ. ისევ ქარხანაში მუშაობ?

მან. დაკეტილია.

ფედ. მას აქეთ?

მან. ერთი თვით გაღეს, მაგრამ ისევ დაჰკეტეს... ეხ, ტანჯვის მეტი არაფერია... მერე აგუბოვთან ვმუშაობდი. მერე კი...

ფედ. რა?..

მან. რა და დავიწყე დღიურად მუშაობა... სარეცხს ვრეცხავ... ერთი დღე მაძღარი ვარ, სამი დღე მშიერი. სიკვდილი მირჩევნია...

ფედ. (ერთბაშად შეჰკრთება და ყურს უგდებს) ეს რა არის?

მან. სად?

ფედ. ფშვინავს...

მან. (მწარე ღიმილით) ნახე (უჩვენებს ლოგინზე) აგერ...

ფედ. (მივა ლოგინთან) ნუ თუ... ვისია?...

მან. ჩემი, საკუთრად ჩემი...

ფედ. მამა?..

მან. მამა?! ღმერთმა შეაჩვენოს ის... მამა არა ჰყავს და არცა ჰყოლია... კარგად დააცქერდი—იქნებ იცნო... სულელი!..

ფედ. (გახარებული) ნუ თუ ჩემია?!

მან. შენი იქნებოდა... მაგრამ ეხლა კი ჩემია, საკუთრად ჩემი, დედისა.

ფედ. უჰ, რა კარგი რამ არის... ჩემო მტრედო... ჩემო შვილო!..

მან. შვილო!..

ფედ. თითებს უყურე თითებს... როგორ მუშტებს შეუკრავს პირთან... მე კი, მე სულელი... მართლაც, რომ სულელი ვარ. შენ ხომ ფეხმძიმეთ იყავი, როცა მე შემბორჭეს... მაგრამ მაშინ მე იმ აზრისა ვიყავი, რომ ჩვენი შვილი ან მკვდარი დაიბადებოდა და ან დიდხანს ვერ იცოცხლებდა... და ეს კი აგერ რა ლამაზია... რა ტკბილად სძინავს... (მოეხვევა მანიას, რომელიც ამ დროს მიუახლოვდება). ჩემო უბედურო, მანია... გმადლობ... რამდენი ხნისაა?

მან. (ღიმილით) მერვე თვეშია... მადლობას რისთვის მეუბნები?

ფედ. როგორ თუ რისთვის!.. ამისთანა ბავშვის გაზრდისთვის... შენ ადგილას რომ სხვა ვინმე ყოფილიყო, ბავშვს სხვას მიუგდებდა... შენ კი, შენ, ჩემო კარგო... ჩვენ მხოლოდ ეს გვაკლდა... ღმერთო, რა რიგად მინდოდა შვილი... და, აი, მომეცა კიდეც...

მან. კარგი, კარგი, გეყოფა, არ გააღვიძო.

ფედ. არა, არა, ეძინოს...

მან. აბა დაჯექ... მე შენ... აი, აქ პატარა ბულკის ნატეხი და რამე მაქვს. ბავშვს უნახავდი დილისთვის... მაგრამ არა უშავს რა, ცოტას გიწილადებს, არა უშავს რა.

ფედ. რას ამბობ, რძეს ხელს ნუ ახლებ, როგორ შეიძლება... პური კი... მე მხოლოდ პატარა ნაჭერი მინდა, კუჭი მოვატყუო!..

მან. (იღებს მაგიდის უჯრიდან.) უიმისოდაც პატარა ნაჭერია. აბა ჭამე, ხვალ ვისმეს დავესესხები... ჭარა უშავს-რა, ჭამე... აჰა რძეც, ერთი ყლაპი მაინც დალიე... (მიაწოდებს ქილას).

ფედ. იჰ, თუ არა უშავს-რა, ცოტას დავლევ. (დალევს, ქილას მანიას გადასცემს). ძლიერ მშიოდა... ეხლა კი შვილმა პური მაჭამა. აი, შე ბუთხუზა შენა... გმადლობ, შვილო, გმადლობ... დამაცა, შე ცუღლუტო, თუ არ მოგაგონო... გმადლობ... (დაახველებს), სასულეში გადამივარდა... მომეცი ცხვირსახოცი... (ახველებს. მანია მარდათ მიაწოდებს ცხვირსახოცს).

ფედ. (ახველებს). ისინი არ გააღვიძო, (იიშნებს კედელზე; ცხვირსახოცს დაჰხედავს) ისევ? ეხ!..

მან. ეგ რა არის? სისხლი?

ფედ. (ხელს ჩაიქნევს). დიდი ხანია... ციხეში დამემართა... (მძიმედ ახველებს). არა უშავს-რა... გადამივლის, ცხვირსახოცი შორს შეინახე, ბავშვს არ გადაედოს... ძუძუს ხომ შენ აწოვებ?

მან. არა, რამდენი ხანია რძე სრულებით გამიშრა. რეცხვის დროს გავცივდი... ფედია, შენ ეხლა საიდან გამოიპარე?

ფედ. ციმბირიდან.

მან. ფეხით?..

ფედ. ხან ფეხით მოვდიოდი, ხანაც მალულათ რკინის გზით... ზამთარი კავკასიაში გავატარე. იქ მუშები დამეხმარნენ... ცოტაოდენი ფული შემიგროვეს და გემით გამომისტუმრეს...

მან. მერე პასპორტი სადა გქონდა?

ფედ. პასპორტი... პასპორტი ადვილი საშოვნელია. მაშ გავრილკა მოკვდა?.. მეწყინა. პაშკა სადღაა?

მან. თავი უკრეს.

ფედ. (თავზარ დაცემული) რას ამბობ?.. მაშ ჩემ თანამოაზრეთაგანი ვიღა დარჩა?

მან. აღარავინ... ყველანი გაიძევეს.

ფედ. აი, საქმე როგორია ყოფილა!.. ეხ... მაშ გასწმინდეს აქაურობა!.. მე კი ვფიქრობდი მათთან ერთად ხელ-ახლა ჩვენ წმიდა საქმეს შევდგომოდი... გამოდის—რომ „ამინ", ჩემ საქმეს, ფიქრებს...

მან. არ გეყო, ცოტა სცოდე?

ფედ. მერე რა, უცოდველნი ნეტავი სად არიან? ვინც ღონიერია, მართალიც ის არის.

მან. ღმერთი?..

ფედ. ღმერთი? ის ზეცაშია... მაშ დილით ისევ გზას უნდა გაუდგე.

მან. საით?

ფედ. სად იმყოფება მგელი? ტყეში .. რა განსხვავებაა ადამიანსა და მხეცს შორის? რა სიკეთე ვნახე, როცა უშიშრად დავიარებოდი? შიმშილ-წყურვილი, სიცივე, ლოთობა, ტანჯვა-წვალება და ბნელ ორმოებში მუშაობა... დახეტიალებ მხეცივით, თავ-ბედს იწყევლი, მაგრამ თუ ამ დროს გალიაში ჩაგაგდეს, სული გეხუთება და ყოვლღონისძიებას ხმარობ, როგორმე განთავისუფლდე—მერე რათ გინდა ეს თავისუფლება? ხელახალ ტანჯვა-წამებისთვის!.. ასეა მგელიც. უშიშრად მხოლოდ ღამე თუ დაიარება; იმისთვის არც სინათლეა, არც სიხარული. მაგრამ აბა ჩაამწყვდიე იგი გალიაში, რაც უნდა ზევრი საჭმელი მიუყარო, ის მაინც თავგამოდებით შეებრძოლება გალიის რკინებს თავისუფლებისათვის... ამას შეგნება უნდა, ცხოვრება ადამიანს თანდათან სინათლისაკენ იზიდავს. ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები მაინც მოესწრებიან უკეთეს დღეებს. ჩვენი მუშაობა ამათთ არ ჩაივლის, სიმართლე... როგორა გგონია სიმართლე არის?..

მან. როგორ არა, სიმართლე! ხა... ხა... ხა!..

ფედ. ამ ჟამად შეიძლება არ არის, მაგრამ მერე ხომ იქნება... ღვთისნიერი ადამიანები მაინც არიან ქვეყნად. თუ ჩვენთვის არა, ჩვენი შვილებისათვის მაინც გაადვილდება ცხოვრება.

მან. ეჰ, როდის რა იქნება, ვინ იცის... დღეს კი აბა როგორ ვიწამო სიმართლე? რა ვქნა? როგორ ან რითი ვიცხოვრო? დღეში სამი აბაზი და ნეტავი ყოველ დღე მაინც მქონდეს! ამდენს ვიტანჯები, ვწვალობ და ბავშვისთვის რძის სასყიდელ ფულს ძლივსა ვშოულობ... ღვთისნიერი ადამიანებიო... მერე სად არიან ეგ ღვთისნიერი ადამიანები, სად?! წამოხვალ თუ არა საღამოზე შინისაკენ დაღალულ-დაქანცული, მშიერ-მწყურვალი, ისე ნაბიჯს ვერ გადასდგამ, რომ რამდენიმე ოხერი და მაწანწალა არ აგეტორღიალოს და საზიზღარი სიტყვებით გული არ მოგიწამლოს... შიმშილისაგან ღონე მიხდილი რომ გზაში არ წაიქცეულიყავ, ხშირად თითო საათობით ვისვენებდი ხოლმე... მართალია, შენ ციხეში იჯექი, მაგრამ მაძღარი მაინც იყავი, მე კი, მე... ოხ, ღმერთო, რამდენჯერ განვიზრახე (ბავშვზე უჩვენებს) ესეც დამეხრჩო და მეც თავი მომეკლა... ღვთისნიერი ადამიანებიო! ღვთისნიერი კი არა, ყველანი ურმეთონი, დაწყევლილნი, ნადირები არიან!.. ყველანიც ერთ დღეს დახოცილან ეგ შეჩვენებულები, ეგენი!

ფედ. ჩემზე მეტად შენა ყოფილხარ გამწარებული...

მან. მეტი აღარ შემიძლია... მიუგდებ ვისმეს შვილს და ჩემ თავსაც ბოლოს მოუღებ. ქვისა ხომ არა ვარ!

ფედ. მოიცა, მანია, ნუ აჩქარდები, ცოტა მოვიცადოთ.

მან. რაღას უნდა ვუცადო, მეტი ღონე არა მაქვს!..

ქ. შათირიშვილი.

(დასასრული იქნება)

ტრიბუნიდან ვუგზავნით ძმურ სალამს ფინლიანდიის ხალხს. რუსეთის დემოკრატია არა თუ არ ეკდება ფინლიანდიის უფლებების გათელვას, არამედ დაიცავს კიდეც. თქვენ ძალმომრეობას ხმარობთ პატარა ერის წინააღმდეგ და ამით ვნებას აყენებთ რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებს. ჩვენ ეს პროექტი ფინლიანდიის კონსტიტუციის დარღვევად მიგვაჩნია და ამიტომ წინააღმდეგნი ვართ, იგი კომისიას გადაეცეს.

მარკოვმა მეორემ მუქარის სიტყვა წარმოსთქვა: უმაღლესის ბრძანების აუსრულებლობა, კანონ-პროექტის მიუღებლობა ნიშნავს სათათბიროს დათხოვნასაო.

პეტროვმა ტრუდოვიკების მხრივ განაცხადა, კანონ-პროექტის შემოტანა მთავრობის მხრივ პროვოკაციას ნიშნავს, ამიტომ ფრაქცია ხმას არ მისცემსო.

მაჰმადიანთა ფრაქციამაც ესევე განაცხადა, სამაგიეროდ პროგრესისტებმა სთქვეს, მხარს დაუჭერთ, რომ კანონ-პროექტი კომისიას გადაეცესო.

ილაპარაკეს აგრეთვე კრუპენსკიმ, თავ. ტენიშევმა, ლერხემ და სხვებმა. ბოლოს სათათბირომ ხმის უმეტესობით დაადგინა, კანონ-პროექტი გადაეცეს კომისიას.

შემდეგ სათათბირომ განაგრძო მიწათ-მოქმედების სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, ხოლო სალამოს სხდომაზე დაამთავრა განხილვა შეკითხვისა ალექსანდრე-სვირკის ეკკლესიის მადნის გაყიდვის შესახებ.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 მარტი.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. პრემიერ მინისტრმა ასკვიტმა სთხოვა პალატას, მთავრობის რეზოლიუციებს ლორდთა პალატის შესახებ კომისიას ნუ გადასცემთ და თქვენ თვითონ იკისრეთ კომისიის როლიო. ასკვიტის სიტყვით, საჭიროა ლორდთა პალატის არსებობა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ლორდთა პალატა მემკვიდრეობით უფლებაზედ კი არ უნდა იყოს დამყარებული, არამედ დემოკრატიულ პრინციპებზედ. მთავრობას აზრად აქვს ლორდთა პალატის რეფორმა ისე მოახდინოს, რომ მას უფლება აღარ ჰქონდეს საფინანსო საკითხებში ჩაერიოსო. ბალფურს მთავრობის რეზოლიუციები სასაცილოდ მიაჩნია. რედმონდმა და ბერნსმა განაცხადეს, მხარს დაუჭერთ რეზოლიუციებსო. ხუთშაბათს დეპუტატთა პალატაში მთავრობა შეიტანს თავის რეზოლიუციების შესწორებას. შესწორებაში ნათქვამი იქნება, რომ ლორდთა პალატის არსებობა საჭიროაო. დეპუტატთა პალატა მზადაა განიხილოს მთავრობის წინადადება ზედა პალატის რეფორმის შესახებ, მაგრამ არ განიხილავს ისეთ წინადადებას, რომელიც ზედა პალატის არსებობას უსაფუძვლოდ ხდის და სპობს ერთად-ერთ გარანტიას, რომ მთავრობამ ამომრჩევლების უმრავლესობის თანხმობის და სურვილის წინააღმდეგ არ განახორციელოს დიდი რეფორმები.

პარიზი. სენატმა მიიღო შინაგან საქმეთა და სარწმუნოებათა სამინისტროების ხარჯთ-აღრიცხვა და კანონ-პროექტი სადამოენო გადასახადების გადასინჯვის შესახებ.

ტოკიო. მთავრობის განკარგულებით გონოლულოში გაემგზავრა კერბერგი, რომელიც გაეცნობა გავაიაში გადასახლებულ რუსთა მდგომარეობას.

ათინა. დეპუტატთა პალატა. წაიკითხეს მეფის სეფე-სიტყვა. სეფე-სიტყვაში ნათქვამია, რომ პოლიტიკურ კრიზისის დროს, წესიერების აღსადგენად და რეჟიმის გასაძლიერებლად პოლიტიკურ მეთოდების შეცვლა იქმნა აღიარებულიო. მეფე ამცნობს დეპუტატთა პალატას განსაკუთრებულ დეკრეტის გამოცემას. დეკრეტი გამოცემულია მეფის პასუხის-მგებელ მესაბჭოების რჩევით. დეკრეტის ძალით მოწვეული იქნება ეროვნული კრება, რომელიც გადასინჯავს კონსტიტუციას და დაადგენს, თუ რაგვარი რეფორმები უნდა მოხდეს. დასასრულ მეფე მადლობას უხდის დეპუტატთა პალატას, მთავრობას სამშობლოს საკეთილდღეოდ დიდი დახმარება აღმოუჩინეთო.

სალონიკი. მსოფლიო პატრიარქის სინოდმა დაადგინა დიბრის ბერძენთა მიტროპოლიტის თანაშემწედ დანიშნოს ეპისკოპოსი—სერბი.

ბერლინი. ვოლფის სააგენტოს სიტყვით, რეინის მოლგეიმის ახლო სამგზავრო მატარებელი სამხედრო მატარებელს დასჯახებია. ძლივ დაშავებულა და მომკვდარა 50 კაცი.

რეინის-მოლგეიმი. ოფიციალური ცნობებით მატარებლების დაჯახების დროს მომკვდარა 19, ძლივ დაშავებულა 39 სალდათი და სამხედრო მატარებლის ორი კონდუქტორი. მატარებლების დაჯახებაში ბრალსა სდებენ სამგზავრო მატარებლის მემანქანეს. საქმის გამოსაძიებლიად ჩამოვიდა გზათა მინისტრი.

ვენეცია. ტარნოვსკაიას საქმე. 16 მარტის სხდომა. თავმჯდომარემ არ შეიწყნარა ტარნოვსკაიას დამცველის თხოვნა ახალ მოწმეების გამოწვევის შესახებ. ვენეციის საავადმყოფოს ექიმმა მენინიმ განაცხადა, კომაროვსკის მუცლის ოპერაცია გაუკეთეს, იგი კარგად გრძნობდა თავს, მაგრამ სამი დღის შემდეგ ცუდად იგრძნო თავი, განუწყვეტლივ ეროდა გულიო. კომაროვსკი ისე იტანჯებოდა, რომ გადავწყვიტეთ მისი კუჭი გაგვერეცხაო. წაიკითხეს სხვა და სხვა დოკუმენტები, საიდანაც სჩანს, რომ კომაროვსკი კუჭის გარეცხის შემდეგ უფრო ცუდად გახდა. მენინის სიტყვით კომაროვსკის მეორე ოპერაციაც გაუკეთებიათ. პროფესსორმა ველლომ, საავადმყოფოს ქირურგმა, სთქვა, როდესაც კომაროვსკის მეორე ოპერაცია გაუკეთეს, ისეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ კომაროვსკი ვეღარ მორჩებოდა. კომაროვსკის მეორე ოპერაცია პროფესორ კავაცცანის წინადადებით გაუკეთესო. კავაცცანმა უარჰყო ეს. მენინმა და პროფესორმა ველლომ განიმეორეს თავიანთი ჩვენება, მეორე ოპერაციის გაკეთებას პროფესსორი კავაცცანიც დაესწროო. კავაცცანმა ხელმეორედ უარჰყო ეს. საავადმყოფოში მოსამსახურე მონოზანმა დაამტკიცა ველლოს და მენინის სიტყვები, კავაცცანის რჩევით გაურეცხეს კომაროვსკის კუჭი და ოპერაციის გაკეთებას კავაცანიც დაესწრო. კავაცცანმა განაცხადა, შესაძლებელია ეს, მაგრამ არაფერი ამისთანა არ მახსოვსო. ტარნოვსკაიას მოსამსახურეებმა, რომლებიც მას კიევში ჰყვანდა, შეაქეს ტარნოვსკაია და სთქვეს, რომ ქმარი ტარნოვსკაიას სცემდა ხოლმეო. საავადმყოფოს მოწყალების დამ გაიმეორა წინა მოწმეების ჩვენება. კავაცცანი კომაროვსკის მეორე ოპერაციის გაკეთებას დაესწრო. კავაცცანმა კიდევ განაცხადა, არაფერი მახსოვსო. სასამართლოს თავმჯდომარემ ურჩია პროფესორ კავაცცანს, რომ მან სასამართლო იძულებული არ გახადოს მის წინააღმდეგ ზომები მიიღოს, შესაწყნარებელი არ არის კაცმა პასუხისმგებლობა აიცილოს იმით, რომ ყველაფერი უარჰყოს და ყველაფერზე ერთი და იგივე პასუხი მისცეს სასამართლოს „არ მახსოვსო“. პროფესორ მენინის სიტყვით, კომაროვსკის სიცოცხლეს კუჭის გამორეცხის შემდეგ დიდი ხიფათი მოელოდაო. ექიმმა ფალტმა სთქვა, დილით, მეორე ოპერაციის წინ, კომაროვსკი კარგად გრძნობდა თავს, მენინმა ჩემთან განაცხადა უკმაყოფილება, კომაროვსკისთვის კუჭი არ უნდა გაერეცხათო. ხელმეორედ ჩვენება ჩამოართვეს პროფესორ ველლოს. ველლომ სთქვა: კომაროვსკის მდგომარეობა საშიშო იყო, როგორც ოპერაციის წინ, ისე შემდეგ, მაგრამ კომაროვსკის ისე იყო ავად, რომ მას მე კუჭს არავითარ შემთხვევაში არ გაურეცხავდიო. სტუდენტმა ზოლოსტაროვმა, ტარნოვსკაიას შვილის მასწავლებელმა, პროტესტი განაცხადა, ტარნოვსკაიას საყვარელი არა ვყოფილვარო. ტარნოვსკაიას შორეულმა ნათესავმა ქალმა შეაქო ტარნოვსკაია, ტარნოვსკაია ძალიან საცოდავ მდგომარეობაში იყო, ქმარი გარყვნილ ცხოვრებას ატარებდა, ცოლს არავითარ ყურადღებას არ აქცევდაო. ამ ქალის სიტყვით, ტარნოვსკაიას ოჯახს ბევრი იდიოტი და ჭკუაზედ შეშლილი წევრი ჰყავდა და ჰყავს. მასწავლებელმა-ქალმა მაგაიერმა ძალიან შეაქო ტარნოვსკაია.

ს პ ა რ ს ე თ ი

თეირანი. გარდაიცვალა ასი ფუდდოულე, ხორასანის გენერალ-გუბერნატორად დანიშნული. თავი მოიკლა რაჯი-ისმაილ-აღამ, ზარაფხანას მოიჯარადრედ ნამყოფი. ხაჯი-ისმაილ-აღა რუსეთის საელჩოს ბესტში იჯდა. გერმანიის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს წარუდგინა გერმანიის ბანკის აგენტი რიუტე.

თავრიზი. მთავრობამ გადასწყვიტა შინაურ სესხის დასაფარავად ათ ვაჭარს ძალით გადაახდევინონ ერთი მილიონი მანეთი, თითოს ასი ათასი მანეთი, თხუთმეტს 150,000 მანეთი, თითოს 10,000 მანეთი. ძალითვე გამოართმევენ ფულს თავრიზის წვრილ ვაჭრებს და მცხოვრებლებს. ვაჭრები თანახმანი არიან გადაიხადონ საჭირო ფული, იმ პირობით კი, რომ ეს ფული ადერბეიჯანზედ უნდა დაიხარჯოს და ფულის დახარჯვას კონტროლი ვაჭრებმა უნდა გაუწიონ, რაიც უარის თქმას ნიშნავს. შინაურ სესხის აღება ძალიან საეჭვოა, რადგან მცხოვრებლები მთავრობას არ ენდობიან. ამ დღეებში სპარსეთის ჯარი არდებილს მიდის.

რ უ ს ე თ ი

ბაქო. დაიღუპა გემი „სამარა“. გადაარჩინეს 11 გემის მოსამსახურე. დაიხრჩო ერთი კაცი.

ომსკი. ჩამოვიდა სენატორი გრაფი მედემი, მედემი რევიზიას გაუკეთებს სამხედრო დაწესებულებებს.

ჰელსინგფორსი. სენატმა მოისმინა 14 მარტის უმაღლესი მანიფესტი ფინლიანდიის შესახებ და დაადგინა, დაუყონებლივ გამოაქვეყნოს იგი. მანიფესტი გადაეცემა სეიმს, რომელიც განიხილავს მას და თავის აზრს სენატს შეატყობინებს. პროკურორმა შარპანტიემ პროტესტი განაცხადა სენატის დადგენილებაზე, მანიფესტი ფინლიანდიის ძირითად კანონებს ეწინააღმდეგებაო.

პეტერბურგი. საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებით მწერალთა კრება მოხდება 22—29 აპრილს. კრებას წრეულს უფრო მეტი მწერალი დაესწრება, სანამ 1907 წელს. სხვა და სხვა პირები მოხსენებებს გზავნიან.

ქუთაისის ავ-კარგი

მესამე კვირა მიდის რაც სათეატრო სეზონი გათავდა და ჯერ არაფერი ისმის იმის შესახებ, თუ რას აპირებს დრამატიულ საზოგადოების გამგეობა საერთო კრების მოწვევის შესახებ. რაღაც შეცდომით, დრ. საზ. წესდება ისეა შემდგარი, რომ გამგეობის წევრს ყოველ წლივ ირჩევენ; ამის გამო, გამგეობა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუვიდა, მოვალეა სეზონის გათავებისათანავე შეადგინოს თავის მოქმედების ანგარიში და წარუდგინოს საზოგადო კრებას, რომ მან თავისი აზრი აცნობოს ახალს გამგეობას. ამიტომ საჭიროა გამგეობამ აღარ დაახანოს კრების მოწვევა, რომ მომავალ სეზონის სამზადისს შეუდგეს საზოგადოება; უამისოდ დრო მცირე დარჩება. კარგი იქნება, რომ გამგეობამ ცვლილება შეიტანოს წესდებაში—გამგეობის განახლების შესახებ ნაწილ-ნაწილად და თავის მოხსენება დასადასტურებლად წარუდგინოს მომავალ კრებას.

* *

რაკი თეატრის საქმეზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ვიტყვი ორიოდე სიტყვას ალ. მესხიშვილის დასის გასტროლებზე. ბ-ნი მესხიშვილი ქუთაისში უყვართ, მას დიდად აფასებენ, მაგრამ ასეთმა გრძნობამ ვერ დასძლია ის პროტესტი, რომელიც გამოწვეულია ფასების გადიდებით. მართალია და ზოგიერთ შემთხვევაში ფასი თითქმის ორჯელ მეტია, ვიდრე წარსულ სეზონში იყო და ამ გარემოებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ხალხი ნაკლებად დაიარება თეატრში. ეს კარგად უნდა სცოდნოდა ჩვენს დამსახურებულ არტისტს და თავისი წარმოდგენები აკრძალულ ხილად არ უნდა გადაექცია საზოგადოებისათვის. რეპერტუარზე რაღა მოგახსენოთ. შექსპირი საზოგადოდ არ გვეხერხება ჩვენ. ამისათვის არც მომზადება აქვთ ჩვენი არტისტების უმრავლესობას, არც დრო და არც სამკაული. ყოველივე ეს სამასხაროდ ხდის დიდებულ დრამატურგის ნაწარმოებთა წარმოდგენას. ვერიდოთ შექსპირის პიესებს და იმათაც, რომელთაც გასტროლური ხასიათი აქვთ, თორემ შეიძლება საჯაყი საქმე დაემართოთ ისეთ დამსახურებულ არტისტებსაც-კი, როგორიც მესხიშვილია. სარეპერტუარო და ძალების შესაფერი პიესა ეხლა ბევრია და იმათკენ უნდა მივაქციოთ ჩვენ ყურადღება.

* *

თავად-აზნაურთა კრებაზე ჯერაც არ გათავებულა ლაპარაკი. ერთი გატყობინებს, „დანოსები“ ფუთობით იგზავნება არჩევნების გასაბათილებლადაო, მეორე გეუბნება, რომ საარჩევნო წარმოება უკვე გაიგზავნა ნამესტნიკთან და თან დააყოლეს შესაფერი მოხსენება, რომ არჩევნები უკანონოდ მოხდა და დამტკიცება შეუძლებელიაო; მესამე გაიძახის, სარევიზიო კომისიის მიერ აღნიშნული 13.000 მანეთის დანაკლისი გაზვიადებულიაო, სხვები ამ ფულს ერთი ორად ადიდებენ. ერთის სიტყვით, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს. ოდესელ სტუდენტების დეპეშამ ხომ ცეცხლზე წყალი დაასხა, სულ არივ-დარია მონასტერი. ჩვენის ცნობებით სასტიპენდიო ფული მიმდინარე წლის იანვრისა და თებერვლის დეპუტატთა საკრებულომ მიიღო თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში. რაც შეეხება დეკემბრის სტიპენდიებს, ამაზე ჩვენ ცნობა არა გვაქვს და კარგს იზამენ, თუ ამ საკითხს ნათელს მოჰფენენ დაინტერესებული პირნი და კერძოდ სარევიზიო კომისია, რომელიც, ჩვენის აზრით, დროა შეუდგეს მოვალეობის აღსრულებას, თანახმად თ.-აზნ. კრების დავალებისა.

ნატალიაშვილი.

ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ **ეგზარხოსი და „ჭეშმარიტი რუსები“.** საქართველოს ეგზარხოსმა შემდეგი დეპეშა მიიღო ტამბოვის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ თავმჯდომარის პოპოვისაგან: „თქვენ უსამღვდელოების პირდაპირმა და გადაჭრილმა პასუხმა იმერეთის სამღვდელოებისადმი, რომელსაც უნდოდა ქრისტეს მოძღვრების ქადაგების ნაცვლად პოლიტიკის წარმოება, უზომო სიხარულით აავსო გული ტამბოვის თქვენი სამწყსოსი. ამ პასუხმა ღრმად დაგვარწმუნა, რომ ივერიის ეკკლესიის დაწყნარების საქმე საიმედო გზაზეა და საიმედო ხელმძღვანელიცა ჰყავს ამ საქმეს. ტამბოვის სერაფიმოვის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“ სალამს უძღვნის თქვენს უსამღვდელოესობას და ევედრება უზენაესს, რომ მან მოგმადლოთ თქვენ ძალა და სიმხნე კვლავ ემსახუროთ უმაღლეს მთავრობის მიერ დავალებულ საქმეს. ამის საპასუხოდ ეგზარხოსმა ინოკენტიმ შემდეგი დეპეშა გაჰგზავნა ტამბოვში: „გულითა გმადლობთ თქვენ და კავშირის წევრთ ჩემი ხსოვნისა და განაპირა ქვეყანაში მოღვაწეობის ყურადღებისათვის. ჩემი პასუხით აღსრულე მოვალეობა მწყემსისა, რომლისთვისაც ძვირფასია თავის სამწყსოს კეთილდღეობა.“

◆ **ფასების დაკლება.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: მინისტრთა საბჭოს წინადადებით, ფინანსთა მინისტრს უფლება მიეცა, ბაქოდან ბათუმში ნავთის გადატანის ხარჯი შეამციროს.

◆ **სასამართლოში.** ტფ. სასამართლო პალატა შეუდგა თავად ლევან დადიანის საქმის გარჩევას. ბრალდება არჩილ ფიჩხაიას მოკვლა. თავდაპირველად ლევან დადიანის საქმე გაარჩია ქუთაისის ოლქის სასამართლომ და დადიანი გაამართლა.

◆ **ქალაქის თავის მოსვლა.** ტფ. ქალაქის თავს ვ. ნ. ჩერქეზიშვილსა და გამგეობის წევრს ალ. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვს მოელიან პეტერბურგიდან 25 მარტისთვის.

◆ **უარის თქმა.** ამას წინად ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ ამიერ-კავკასიის რკინის გზის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ნება მოგვეცით ნავთის მილების ბოძებზე დავკიდოთ მავთულები, რომ ტფილისსა და ბათუმს შუა ტელეფონი გავიყვანოთო. „კავ.“ სიტყვით, რკინის გზის გამგეობას არ შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა.

◆ **სამეურნეო საზოგადოება.** როგორც ვიცით, ამ რამდენიმე ხნის წინად კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ ცვლილება შეიტანა საზოგადოების წესდებაში და ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე. ცვლილება უმთავრესად შეეხებოდა საწევრო ფულის 5 მანეთამდე შემცირებას და იმ უფლების მოპოვებას, რომ საზოგადოებასთან დაარსებულ იქმნან კომიტეტები, რომელთაც დავალებული ექნებათ მეურნეობის ამა თუ იმ დარგის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ამას წინად სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო მოწერილობა, საიდანაც სჩანს, ადმინისტრაცია წინააღმდეგია კომიტეტების დაარსებისა. ამ საკითხის შესახებ მოხსენება სამეურნეო საზოგადოების კრებამ მოისმინა და თანახმა გახდა შეიტანოს ადმინისტრაციის მიერ ნაჩვენები ცვლილებანი წესდების პროექტში.

◆ **ბალახის თესლი.** კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, გადასდოს 250 მან. და მოიწვიოს ორი ინსტრუქტორი საუკეთესო ბალახის თესლის გასავრცელებლად. ინსტრუქტორებს ერთი თვით მოიწვევენ და მისცემენ თითოს 60 მან. ინსტრუქტორები წაიღებენ საუკეთესო ჯიშის თესლს გასავრცელებლად. სამეურნეო საზოგადოებას აზრადა აქვს გამართოს ბალახის საცდელი მინდვრები. ადგილები საცდელ მინდვრებისათვის სამეურნეო საზოგადოებას დაუთმო სოფ. ახალქალაქის საზოგადოებამ ქართლში, ლაგოდეხის საზოგადოებამ კახეთში, ხოლო სოფ. დიღომში ბ-ნ ყავრიშვილმა.

◆ **შუამდგომლობა.** „კასპის“ სიტყვით, ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბაქოს განყოფილებას ბაქოს ქალაქის საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, ქალაქში უფასოდ დაგვითმეთ ადგილი შენობის ასაშენებლად, რომელშიაც უნდა მოვათავსოთ ქართველთა კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებანიო. განყოფილების სიტყვით, ბაქოში ამ ჟამად 5000 ქართველია და ამოდენა ხალხს არა აქვს ადგილი, რომ შენობა აიშენოს და თავისი კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებანი ერთ ადგილას მოათავსოს. განყოფილება თავის თხოვნას იმით ასაბუთებს, რომ ქალაქმა სხვა ერებსაც დაუთმო უფასოდ ადგილიო.

◆ **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.** 17 მარტს საღამოთი თავ. გრუზინსკის თავმჯდომარეობით შესდგა საზოგადო კრება კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. კრებას 20-მდე წევრი დაესწრო. პირველად კრებას წარედგინა მოხსენება საზოგადოების მდივნის ს. პ. ერისთავისა ხილეულობის გამოფენის შესახებ. მომხსენებლის აზრით, ასეთ გამოფენას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენში. საზოგადოების მხრით ამ გამოფენის მოსაწყობად ბევრი ფულის გაღება არ არის საჭირო, სულ 300 მან. ეყოფაო. მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, თუმცა პრინციპიალური მოწინააღმდეგე არავინ იყო. კამათი უმთავრესად გამოიწვია ზოგიერთ წევრის აზრმა იმის შესახებ, რომ სამეურნეო საზოგადოებასთან მუდმივი საგამოფენო ბიურო იქნას არჩეული და ყოველ წელს სისტემატიური გამოფენები იმართებოდეს. წელს, მაგ., გავმართოთ მეხილეობის გამოფენა, მერმის—მეაბრეშუმეობისა და სხვა. კრებამ არ მოისურვა განსახილველ საქმის გაფართოება და დაადგინა, წელს გამართოს, მომხსენებლის თანახმად, ხილეულობის გამოფენა. ამ საქმის მოსაწყობად გადაიდო 300 მან. კრებამ ამავე საღამოს აირჩია ბიუროს წევრები. ბიუროში შედიან: საზოგადოების საბჭო, მეხილეობის საზოგადოების გამგეობა და საზოგადოების წევრთა კრების მიერ ამორჩეული 5 კაცი. ბიურო აარჩევს ადგილს გამოფენისათვის და დანიშნავს დროს გამოფენისათვის. შემდეგ კრება შეუდგა განხილვას საბჭოს მოხსენებისას საზოგადოების ძველ საოპერაციო ბიუროს მოქმედების შესახებ. საქმე იმაშია, რომ საზოგადოების ბიუროს წინა წლებში გაცემული აქვს 20,000 მანეთის გოგირდი, კვიპაროზი და სხვ. საზოგადოებას ამდენივე ფული აქვს სხვა და სხვა ფირმებისა. კრებამ დაადგინა, დაავალოს საზოგადოების საბჭოს, დააჩქაროს ფულის მოკრეფა.

◆ დონის-როსტოვის მეფქვილე ამხანაგობის წარმომადგენელმა პოლიციის ბოქაულს დაშკოვს გამოუცხადა, რომ ქალაქის ზოგიერთი ვაჭრები აღნიშნულ ფირმის ნიშნებით ფქვილს ჰყიდიან მაშინ, როდესაც ნამდვილად მათი ფქვილი ადგილობრივი ან ნარევი ფქვილი უურიათ ტომრებში და ჩვენის სახელით უსაღებიათო. ბოქაულმა დაშკოვმა გაჩხრიკა ვაჭრების ოჯახნეზ დანიელიანცისა, ზაქარია მანიევისა, ნაჯარსად დანიელიანცისა, დევან სარქისიანცისა, გრიგორ აბიბოვისა და გრიგორ ბახტაძის სავაჭრო სახლები. ამათ აღმოაჩნდათ სოლოდოვების ფირმის ფქვილის ტომრები, ნამდვილად კი შიგ ადგილობრივი ფქვილი აღმოჩნდა. პოლიციამ პასუხის გებაში მისცა ვაჭრები.

◆ 17 მარტს დააპატიმრეს სიღნაღის მცხოვრები გეურ მირაქოვი, რომელიც საგ.-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნებადაურთველად დაბრუნებულა. ამავე დღეს დააპატიმრეს პოლიციის მე-8 და მე-4 ნაწილებში 65 უპასპორტო კაცი.

მოწერილი ამბები

წრომი. (ქართლი). ამ დღეებში გწერდით, რომ ქართლში, სოფელ წრომს მოჰკლეს ადგილობრივი მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი. ამ მკვლელობის გარემოება ასეთი იყო. 10 მარტს, საღამოს 7 საათზე, როდესაც დავითაშვილი თავის ოჯახში იყო და თავის პატარა ბავშვებს ეალერსებოდა, მოულოდნელად სახლში შეიჭრა ხუთი შეიარაღებული კაცი და ფული მოითხოვა. დავითაშვილს გულახდით განუცხადებინა, რომ ფული არა სად მექნება, ხელმოკლე კაცი ვარ, წვრილ შვილს პატრონი. მაშინ ავაზაკებმა იარაღი მოითხოვეს: თუ ფული არა გაქვს, იარაღი მოგვეცით. მღვდელს არც იარაღი ჰქონდა. იქვე, დავითაშვილის ბინის გვერდით, თ-დი ციციშვილი სცხოვრობს. იმათაც შეტყო ავაზაკების თავდასხმა. ციციშვილის მეუღლეს უნდოდა გამოსულიყო და სოფლისათვის შეეტყობინებინა, მაგრამ ავაზაკებს მცველები დაეყენებინათ, ხანჯალი მიეშვირათ ქალისათვის და მუქარით უკან გაებრუნებინათ. ავაზაკებმა წინადადება

მისცეს დავითაშვილს, გაჰყოლოდა გარედ მოსალაპარაკებლად. ცოლშვილი ეხვეწებოდა და ემუდარებოდა თუ გინდათ რამის თქმა, აქ უთხარით, კარში ნუ მიგყავთ, კარგს რასმეს არ დაგიმართებთ მღვდელსაო. ხვეწნა მუდარამ ვერ მოალბო ავაზაკთა გული, ნებით რომ არ გაჰყვა მღვდელი, ხელი სტაცეს და ძალით გაიტაცეს. ერთ ავაზაკს თვალთ მაქცურად კიდეც ეთქვა თავზარ დაცემულ მღვდლის ცოლისათვის, ნადირები ხომ არა ვართ, რომ ასე გეშინიანთ. ცოლიც კვალ და კვალ მისდევდა ავაზაკებს და კვლავ ემუდარებოდა, შეებრალებინათ წვრილ-შვილი. მაგრამ შებრალების ნაცვლად ერთმა ავაზაკმა თოფის კონდახა უთავაზა თავში და ქალი გონება დაკარგული უგრძნობლად დედამიწაზე დაეცა. მღვდელი კი იქვე 80 ნაბიჯის მანძილზე გაიყვანეს, დაახალეს ორჯელ თოფი და მოჰკლეს. დღესაც არავინ იცის, რისთვის და რა მიზეზით მოჰკლეს მღვდელი.

—

გორი. „დროების“ მკითხველებს ეხსომებათ გორის ქალაქის თავის ბ-ნ პაპალექსის ამბები, მისი გონება მახვილობა მცხოვრებთა დასმენის საქმეში. იმედი გვქონდა პაპალექსი ხმას ამოიღებდა, თავის გამართლებას შეეცდებოდა, მაგრამ ალბად არაფრად აფასებს ქართულ გაზეთის აზრს, როგორც არად აგდებს გორის მცხოვრებთ. ამ უილაჯობისა და დამბლადაცემის ხანაში გორის საზოგადოებრივ ცხოვრების ჰორიზონტზე ბევრი პატიოსანი გვამი ამოტივტივდა და მათ შორის ბ-ნი პაპალექსიც. ვინ არის ის, რა ჯურის ფრინველია—მკითხველებმა უკვე იციან. თოფ-ზარბაზან ქვეშ აღზრდილი და დაბერებული საქალაქო საქმეების მომწესრიგებლად მოგვევლინა და ეს ამ საშინელ დუხჭირ დროში. ვინ აირჩია იგი ქალაქის თავად, ვინ უმაგრებს მხარს—იგივე ხმოსნები, რომელნიც მცხოვრებთაგან, მოქალაქეთაგან არიან არჩეულნი. უპრინციპო, უმოქმედო ხალხი წამოსკუპებულა ქალაქის თვით-მართველობაში და პაპალექსიც მათი „საქმიანობის“ დამაგვირგვინებელია. ქალაქში ბევრი სხვა და სხვა ხმაა გავრცელებული პაპალექსის შესახებ. ამორჩევის დღიდანვე ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ პაპალექსის ცენზი არა ჰქონდაო. ლაპარაკობდნენ ამას და დარწმუნებულნი ვართ, თვით ბ-ნ პაპალექსამდეც მიაღწევდა ეს მითქმა-მოთქმა, მაგრამ ვინც რა უნდა სთქვას, წისქვილმა კი ფქვასო, უშველია იძახდა პაპალექსი და არავის ყურს არ ათხოვებდა.

ამ ერთი კვირის წინად თვით-მართველობაში წერილებითი განცხადებაც შეიტანა გორის ერთმა მოქალაქემ, მაგრამ ეს განცხადება თავზე გადაახიეს. მოქალაქე ბ-ნი ზუბიევი თხოულობდა, რომ მისი განცხადება მოესმინა ხმოსანთა კრებას, მაგრამ ქალაქის თავმა ეს განცხადება არ მიიღო და, რაც უფრო შეუწყნარებელია, უტიფრად მოეპყრო მოქალაქის პიროვნებას. განა სხვა თუნდაც ცამდის მართალი, ნებას მისცემდა თავის თავს და განცხადებას, თუნდაც თავიდან ბოლომდე ჭორებზე აგებულს, შესაფერ მსვლელობას არ მისცემდა? განა პაპალექსის პატარა ჭკუატმენობა რომ ჰქონდა, ასე უპატივცემლად მოეპყრობოდა მოქალაქის განცხადებას?

რას აცხადებდა ბ-ნი ზუბიევი? ზუბიევი ბოროტმოქმედების ნ-დნას აბრალებდა ბ-ნ პაპალექსის, ქალაქის თავს. საბჭოს დაუკითხავად, 179 მან. ფული მიუცია სესხად სასანიტარო კომისიის თავმჯდომარის შეფისათვის. არავითარი უფლება არა ჰქონდა ბ-ნ პაპალექსის ქალაქის კასიდან მიეცა ვისთვისმე ფული. მაგრამ პაპალექსიმ მარტო ამით არ გაათავა საქმეო. შეფს წარუდგენია ანგარიში 201 მ. 41 კაპ. ქალაქის ქუჩების გასუფთავებაზე დახარჯული, და პაპალექსისაც ხელი მოუწერია ამ ანგარიშზე. შეფს სასამართლოში უჩივლია და საქმეც თავის სასარგებლოდ დაუბოლოვებია. ზუბიევი თავის განცხადებაში აღნიშნავდა ამას და ეკითხებოდა პაპალექსის: ქუჩების გასუფთავება სახლის პატრონების საქმეა, სასანიტარო კამისიასაც თვით სახლის პატრონები ინახავენ, მაშ რა უფლებით მოუწერეთ ხელი შეფს და ქალაქის კასას დააკისრეთ 201 მ. 41 კაპ. გადახდა, მით უმეტეს, რომ ამაზე არავითარი დავალება არა გქონიათ ქალაქის საბჭოსაგანაო. ზუბიევი კიდევ ეკითხებოდა პაპალექსის, თქვენ, ქალაქის წარმომადგენელმა, შეიძინეთ ქალაქის მამული, სადაც არის ნანგრევები ძველის-ძველ წმ. გიორგის ეკკლესიისა; ეს მამული თქვენ ფიქტიურ საბუთებით შეიძინეთ; თქვენ კარგად იცოდით, რომ არას დროს გორში მამული არა გქონიათ, როგორც არა ჰქონია მამული იმასაც, ვისგანაც ფიქტიურის საბუთებით შეიძინეთ ქალაქის მამული, და თუ გრძნობთ, რომ უკანონობა ჩაიდინეთ, განა შეიძლება კვლავ ქალაქის წარმომადგენლად იყოთო.

ა, რას ეკითხებოდა ზუბიევი. პაპალექსიმ თავზე გადაახია განცხადება.

პაპალექსი ამასაც არ სჯერდება და სხვის სპეციალობაში ხელებს აფათურებს. ქალაქს იურისკონსულტები უნდოდა სასამართლოში საქმეების საწარმოებლად- თითონ იკისრა იურის-კონსულტობა, მაშინ როდესაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს საქმის წარმოებაზე. აკი კიდეც დაამტკიცა თავისი „იურისტობა“: რამდენი საქმეც კი ჰქონდა ქალაქს, ყველა წააგო და განსაჩივრების ვადაც კი დაჰკარგა. ხმოსანთა შორის ორი გამოცდილი ვექილია—ნატროშვილი და ლოლაძე. ამათ ყურადღება არ მიაქცია, საქმების წარმოებას თითონ მოჰკიდა ხელი და ქალაქის ინტერესები განსაცდელში ჩააგდო.

ა, რა კაცი განაგებს გორის თვითმართველობის საქმეებს. ბევრს რასმეს ამბობენ პაპალექსიზე, პირში ეუბნევიან: შენ არ შეგფერის მაგ ადგილზე იყო, წადი, მშვიდობით მოგვშორდიო, ისე კი არაფრად აგდებს ქალაქის ინტერესებს. რას აკეთებენ თითონ ხმოსნები? ნუ თუ იმათ ყურამდის კი არ მიაღწია იმ ხმებმა, რომელიც გავრცელებულია პაპალექსიზე? რასა სდუმან? მაგრამ ამბობენ, რომ თვით ხმოსნებში ჰყავს ძლიერი პარტია ბ-ნ პაპალექსის. ერთი ფრიად მოვლენიანი გვამი მოსარჩლედ ჰყავს და აბა ვინ რას დააკლებსო. ინავარდეთ. მაგრამ მოვა დრო, თქვენი საქმენი სამგმირონი ქვეყანას მოედება. ჩვენ ვურჩევთ ბ-ნ პაპალექსის, დაუჯეროს საზოგადოებას და ხელი აიღოს იმ თანამდებობაზე, რომლის ასრულებისათვის არც უნარი შესწევს და არც ცოდნა. **S.**

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. სამშაბათს, 16 მარტს, ტფილისის დასმა მესამე საგასტროლო წარმოდგენა გამართა. ამ საღამოს ვლ. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინეს „შავი ბერი“. მეორე პიესა, „სიკვდილი ნაპოლეონისა“, კ. მესხის ავადმყოფობისა გამო ვერ ითამაშეს. ამ ამბავმა ძლიერ დასწყვიტა გული დიდძალ საზოგადოებას.

პიესა „შავი ბერი“, ჩვენის აზრით, სუსტი და თანაც გაუგებარი დრამაა. ჩვენ ის ჰკვიანურ ზღაპრად უფრო მივვაჩნია, ვიდრე სასცენო ხელოვნურ ნაწარმოებად, ესაა მხოლოდ, რომ მესხიშვილი ანდრეი კოვრინის პიროვნებაში მრავალ თავის ნიჭის შესაფერისს სულიერ მოძრაობას პოულობს და მართლაც ალაგ-ალაგ კარგია, განსაკუთრებით მეორე სურათის ბოლოში და მთელ უკანასკნელ მოქმედების დროს

მშვენიერი ეგორ პესოცკი იყო ბალანჩივაძე. მარილიანი თამაში იცის ამ მსახიობმა, თუ როლი აქვს დასწავლილი. მ. მდივანი გვეგონა, უკეთესი ტანია იქნებოდა. მოგვეწონა მხოლოდ იმ სცენაში, როდესაც ქვითინით უმწეოდ დაეშვება მამის კალთებზე. ეს სცენა რეალური სულ დაუტანებელი გამოვიდა. არა უშავდარა აჩრდილის როლში ბ-ნ მატარაძის და ექიმის როლში ზარდალიშვილს. დანარჩენებზე არა ითქმის რა; ურბად ჩნდებოდნენ და მალეც ჰქრებოდნენ...

პირველ მოქმედების შემდეგ სცენაზე მიულოცეს მობენეფისეს ამხანაგმა მსახიობებმა ბ-ნ ბალანჩივაძის პირით, რომელმაც მშვენიერის სიტყვით მიმართა და მოიგონა ძველი ქართული ანდაზა: „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა ნეგობარსაო“.

მიულოცეს ნოქრების მხრითაც, მაგრამ აქვე საჭიროდ ვსთვლი აღვნიშნო ერთი სიმართლის შეუსაბამო ადგილი ამ სიტყვაში. აღნიშნული ადგილის აზრი გახლავთ შემდეგი: ჩვენ არა ვგავართ იმ პატრიოტებს, რომელთაც შენი რუსეთში წასვლა საწყენადა და სამწუხაროდ მიიჩნიეს, აქ ცუდსა და მავნეს არასა ვხედავთ, პირიქით, ჩვენა გვსურს რაც შეიძლება მრავალნი წავიდნენ ჩვენგან უცხო მხარეს განვითარებისა და ცოდნის შესაძენადაო.

ამგვარი რამ, მეტი რომ არა ვსთქვათ, მტკნარი გაუგებრობის ნაყოფია. სად, როდის, ან ვის დაუწუნეს ასეთი ლტოლვილება განვითარებისაკენ?!. არა გვგონია, ამ კითხვაზე ადრესის ავტორისაგან დალაგებული პასუხი მივიღოთ, ხოლო რაც შეეხება კერძოდ ბ-ნ მესხიშვილს, მისი რუსეთში წასვლის მიზეზი თითონაც აღნიშნა (თავის საპასუხო სიტყვაში ამხანაგების მიმართ) და ჩვენც ყველამ ვიცით, რომ მას ამ სიბერის ჟამს ესეთი მისწრაფება არცა ჰქონია და არც ესაჭიროებოდა...

მესხიშვილის სიტყვას საზოგადოება მხურვალე ტაშით მიეგება.

ჯაფარ-ფაშა.

—

ქართული წარმოდგენა. დღეს, 19 მარტს, ქართულ თეატრში მსახიობი ქ-ნი კოლხიდელი გამართავს საინტერესო წარმოდგენას. ვ. აბაშიძის, ვ. გუნიას და სხვების მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება გუნიას მიერ გადმოკეთებული პიესა „პირველი ბუზი“. შემდეგ დივერტისმენტი იქნება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ვანო სარაჯიშვილი, ი. პისეცკი, ვ. აბაშიძე, გედევანოვი, ნ. კოლხიდელი, იმხნელი, ნ. ერისთავი და ი. გრიშაშვილი.

—

სარტისტო საზოგადოების თეატრი. „უტრო როსსიი“-ს სიტყვით, მომავალ სეზონისათვის სარტისტო საზოგადოების თეატრი აუღია ანტრეპრენიორს ვ. ი. ნიკულინს. როგორც ვიცით, ფითოევა-ბელეცკაიას, რამდენიმე სეზონის განმავლობაში ზარალი მოსდის და სწორედ ესაა მიზეზი, რომ ფითოევას თეატრი ნიკულინისთვის გადაუცია. ნიკულინს დასში უკვე მიუწვევია: ქ-ნი გოლოდკოვა, აგრინცევა, ჩაროვა, ლაბუნსკაია, შეინა, დიურუადა პივაროვიჩი, ბ-ნნი მუროდცევი (თვეში 10,00 მან.), პოკროვსკი, ნ. სოკოლოვი და საკელიევი.

უცხოეთი

რეზოლიუციები ლორდების წინააღმდეგ.

ინგლისის დეპუტატთა პალატას პირველმა მინისტრმა ასკვიტმა წარუდგინა შემდეგი რეზოლიუციები ლორდების წინაღმდეგ:

1. სასურველია, რომ ლორდთა პალატას კანონით ჩამოერთვას უფლება საფინანსო კანონ-პროექტების უარყოფისა და შეცვლისა იმ პირობით, რომ ლორდთა პალატის უფლების ასეთ დამცირებას არ მოჰყვეს დეპუტატთა პალატის ახლანდელ უფლებისა და პრივილეგიების შემცირება.

2. სასურველია, რომ ლორდთა პალატის უფლება არა საფინანსო კანონპროექტების საქმეში შეზღუდულ იყოს კანონით იმნაირად, რომ უოველი ასეთი კანონპროექტი, მიღებული დეპუტატთა პალატის მიერ სამს ერთმანეთზე მომდევნო სესიაში და წარდგენილი ლორდთა პალატაში არა უგვიანეს ერთის თვისა სესიის გათავებამდე, თუ უარყოფილ იქნება ლორდთა პალატის მიერ უოველ ამ სესიის დროს,—კანონად იქცეს ლორდთა პალატის უთანხმობოდაც მარტო მეფის დამტკიცებით. ასეთ კანონპროექტის დეპუტატთა პალატაში პირველად შეტანასა და მის მესამედ დამტკიცებას შუა უნდა გაიაროს ორმა წელიწადმა.

3. სასურველია, პარლამენტი შვიდი წლის ნაცვლად ხუთი წლით ირჩეოდეს ხოლმე.

დუეზის საქმე.

როგორც უკვე ვიცით საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში დიდი კამათი გაიმართა დუეზის საქმისა და საზოგადოდ გაუქმებულ კონგრეგაციების ლიკვიდაციის თაობაზე. „რუს. ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი სწერს: „საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში სამი დღის განმავლობაში მეტად ცხარე კამათი იყო გამართული, მაგრამ ეს კამათი მაინც მთავრობის გამარჯვებით დაგვირგვინდა. სამინისტრომ მთავლება იკისრა პალატის წინაშე. საქმე სრულად და წმინდად გამოიძიოს და სამართალში მისცეს უკლებლივ ყველანი, ვინც კი დამნაშავე აღმოჩნდება. პალატის რადიკალურ-სოციალისტურმა უმეტესობამ სამინისტროს ნდობა გამოუცხადა 343 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 79-ისა, ხოლო 155 დეპუტატს მონაწილეობა არ მიუღია კენჭის ყრაში.

სამინისტროს წინააღმდეგ ხმა მისცეს უველა სოციალისტმა, კონსერვატორების მცირე რიცხვმა, ორიოდე კაცმა ცენტრიდან—დაბარომ, დერუპბოლიემ და რადიკალ-სოციალისტებიდან—პელტანმა. მემარჯვენეებმა მონაწილეობა არ მიიღეს კენჭის ყრაში. მათ სთქვეს, „დეე სოციალისტები მიესივნენ მთავრობას. საფრანგეთის რესპუბლიკა გაქურდა მთავრობისავე დამქაშმა დუეზმა. ქურდმა ქურდს კუდი მოჰკრა. ჩვენ განზე უნდა გავდგეთ“. ეს მხამიანი ტაქტიკაა. იქნება საწყენიც იყოს, მაგრამ საშიში კი არაა. უფრო მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ისეთმა გამოჩენილმა მოღვაწეებმა, როგორიც არიან ბრისონი, ფერდინანდ ბუისონი და ბერტონი. ამიტომ შეუძლებელია იმის თქმა, რომ მთავრობის განმარტებას ყველანი დაკმაყოფილებინოს გარდა უკიდურეს მემარჯვენეებისა და მემარცხენეებისაო.

კამათს შედეგად მოჰყვება ბევრ ადმინისტრატიულ და საკანონმდებლო ღონისძიების მიღება. თავდაპირველად მოახდენენ რევიზიას უველა ლიკვიდატორის საქმის წარმოებისას. დაინიშნებიან კონტროლიორები ფინანსთა სამინისტროდან; ლიკვიდატორების მოქმედების მიერ გამოწვეული პროცესები, თუ ჯერ სასამართლოს განაჩენა ძალაში არ შესულა, ხელახლად იქნება გარჩეული და დასასრულ თითონ ლიკვიდაციის საქმე გადაეცემა მთავრობის აგენტებს, რომლებიც პირდაპირ ფინანსთა სამინისტროს მზედველობის ქვეშ იქნებიან.

დაიჭექა და გლეხმა პირჯვარი გადიწერა... მაგრამ მაინც ძნელი გასაგებია, რატომ დასჭირდა ასეთი ოხერი სკანდალი საზოგადო არჩევნების წინა დღეს, რომ რესპუბლიკის მთავრობას გაებედა ხსენებულ ღონისძიებათა მიღება. ბრიანმა მოახსენა პალატას: რა მწამს კლემანსოს სამინისტროში იუსტიციის მინისტრობა მივიღე, მაშინვე შევიმუშავე კანონპროექტი, რომლის თანახმად ლიკვიდაციის ახლანდელ წესის მაგივრად ადმინისტრატიული წესი უნდა შემოგვეღო, მაგა პალატამ მოუცლელობის გამო ვერ გაარჩია ეს კანონპროექტი. მაგრამ მთავრობამ რატომ არ მოითხოვა მისი საჩქაროდ განხილვა?

ბრიანი ჰფიქრობს, რომ პარლამენტმა, რომელმაც დაამტკიცა საეკლესიო კანონები და კანონით არ დაადგინა საეკლესიო მამულების ლიკვიდაციის წესი, მხოლოდ ნახევარი საქმე გაარიგაო. მაშ რატომ შემდეგმა სამინისტროებმა არ დაამთავრეს ეს საქმე?

მერე, მთავრობამ დიდი ხანი უცოდა, რომ ლიკვიდატორები ბოროტმოქმედებდნენ. მართალია მთავრობა ბევრს ათათბირობდა, რაც-კი შეეძლო იღებდა ღონისძიებას, მაგრამ მაინც გასაკვირველია რად მიმართა ასე გვიან პარლამენტს?

— შეცდომის გასწორება გვიანი არა დროს არაა,—სთქვა იუსტიციის მინისტრმა ბარტუმ. მაშასადამე შეცდომები ყოფილა. „იარებიც აქვს ჩვენ სასამართლოებსაო“—დაუმატა მინისტრმა. ამას გარდა, რესპუბლიკის მთავრობამ თითქო გაუბედავობა და სიზანტეც გამოიჩინა. თუმცა ბრიანმა ბრწყინვალედ დაიცვა სამინისტრო, მაგრამ უველამ უეჭველად ესეთი აზრი შეადგინა და ასეთი საყვედური შეუთვალა რესპუბლიკის სამინისტროს.

რუსეთი

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება.** შინაგან საქმეთა მინისტრს პეტერბურგის ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტის დირექტორისთვის მოუთხოვნია, დაუყონებლივ დაითხოვეთ ინსტიტუტის სამი სტუდენტი, რომლებმაც სტუდენტთა კრება გამართეს და პურიშკევიჩს პროტესტი განუცხადესო.

◆ **სამართალში მიცემა.** „კასპ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სამართალში აძლევენ სამხრეთ რუსეთის მემარილეთა საიდუმლო სინდიკატის წევრებს. ბრალდებათ სხვა და სხვა ბოროტმოქმედება. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ მემარილეთა საიდუმლო სინდიკატის მოქმედებაში პეტერბურგის დიდ მოხელეებსაც ულიათ მონაწილეობა.

◆ **ხადამოუნო დეპარტამენტის ანგარიში.** სადამოუნო დეპარტამენტის ანგარიშით 1909 წელს რუსეთის საზღვაზე დაუჭერიათ 559,000 მანეთის საქონელი. სამართალში მიუციათ 12,000 კაცი.

◆ **კიევის უნივერსიტეტში.** 12 მარტს კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებს უნდოდათ კრება გაემართათ და პურიშკევიჩისთვის პროტესტი განეცხადებინათ, მაგრამ ნება არ მისცეს. იმის გამო სტუდენტები უნივერსიტეტის აუდიტორიებში ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილან და განუხილავთ რეზოლიუცია, რომელშიაც პურიშკევიჩს პროტესტს უცხადებდნენ. საქმეში ჩარეულან „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრი-სტუდენტები, ეგრედ წოდებული აკადემისტები და მოუთხოვნიათ სტუდენტები დაშლილიყვნენ ერთ აუდიტორიაში აკადემისტებს ქართველ სტუდენტებისთვის „კავკასიელი მაიმუნები“ უწოდებიათ. ქართველი სტუდენტები მისცვივნიან აკადემისტებს და მათი ცემა მოუნდომებიათ. აკადემისტებს სტუდენტთან სხვა აუდიტორებშიაც მოსვლიათ ჩხუბი. მალე გაჩენილა უნივერსიტეტის რექტორი და მოუთხოვნია წესიერების დაცვა. ამას გარდა რექტორს აკადემისტებისთვის უთქვამს, იარაღის ტარება უნივერსიტეტში შეუწყნარებელია და არავის არ მივცემთ იარაღის ტარების ნებასო. აკადემისტებმა აღმინისტრაციის ნებართვით ყოველთვის იარაღი დააქვთ თან.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ეკატერინოსლავში 1, დვინსკში 1, უფაში 5, ოდესაში 2, პეტერბურგში 1, ვარშავაში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, ოდესაში 1, ეკატერინოსლავში 3 კაცი.

წერილი რედ. მიმართ

—

უღრმეს და გულწრფელ მადლობას ვწირავ ყველა იმას, ვინც ჩემს იუბილეიში მონაწილეობა მიიღო და მომილოცა ქართულ სცენაზე ოც და ათი წლის მოღვაწეობა. ჩემის თანადასწრებით დღესასწაული გაიმართა ტფილისში, ქუთაისში, გორში, ყვირილაში და ჭიათურაში. გულით ვმადლობ აგრეთვე სიღნაღის და ახალციხის საზოგადოებას და იქაურ ინიციატორებს, რომელთაც აგრეთვე აღნიშნეს იუბილეი ჩემს დაუსწრებლად და შემოსული ფული გამომიგზავნეს.

ნატალია გაბუნია-ცაგარლისა.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ-ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—65)

ქუთაისში

◀ **კიჩმარაშვილის და ამხ.** ▶

თესლეულობის მაღაზიაში მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ მოსავლის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კონდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნებათ. (25—კვ.—10)

—◀ სრული პასუხის მგებლობა ▶—

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

„ფეხსაცმელების სახელოსნო“

გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—**შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა,** აგრეთვე ვკერავთ მკვეთით ხუფთად, მკვიდრად და დანიშნულ ვადაზედ. საქონლის სიკარგისათვის ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას.
ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა N 28.

პატივისცემით ივ. სვ. ბერძნიშვილი.

—◀ სრული პასუხის მგებლობა ▶— (25—6.—8)

ურჩევთ ყველას,
მიიღონ
ინტელიგენტი მომუშავენი, **ხელზე მოსამსახურე და**
ყველა
◀ **პროფესიის მუშები** ▶

Тифлисская Городская
БИРЖА ТРУДА
Верiйскiй спускъ, тел 178. რჩევისათვის ვიღებთ 20 კაპ. მხოლოდ დამქირავებელთაგან.

კანტორა ღიაა დილის 9 საათ. საღამოს 6 საათამდე. კვირაობით და უქმე დღეებში შუადღის 12 საათამდე. (5—გაგ.—3)

გაფრთხილება

რადგან **სპერმინ-პელისა** დღითი-დღე ვრცელდება, ამიტომ ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც ჩვენი წამლის ნაცვლად სხვას ჰყიდიან სხვა და სხვა სახელით (სპერმიტინის, სპერმინოლის, სპერმოლის, და სხვა სახელით). ხშირად ამ ყალბ სპერმინის გამყიდველნი თითონ სწერენ, ჩვენი წამალი **სპერმინ-პელის** „თანასწორია ან იმაზე უკეთესიო“. ხშირად ამ ყალბ წამალს ამზადებენ ისეთნი, რომელთაც ექიმობასთან არაფერი საერთო არა აქვთ: სააფთიაქრო და საპარფიუმერო მაღაზიების პატრონნი და სხვანი. რა თქმა უნდა, ასეთ ყალბ წამლებს მნიშვნელობა არა აქვთ და წამლის გამვრცელებელნი რეკლამებში ჰბაძვენ **სპერმინ-პელს** და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.

ამის გამო ჩვენ მოვალეობად ვრაცხთ, **გავაფრთხილოთ** ისინი, ვინც **სპერმინით** სარგებლობენ. მეცნიერთა და ექიმთა გამოკვლევით, **სპერმინ-პელი** სასარგებლო წამალია: ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურებისა, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჰლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, კანკალის, მიოკარდიტის). არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ზურგმლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს. ყველა მყიდველმა ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სახელს ● **სპერმინ-პელს** ● და ფორმას, რადგან სხვა პრეპარატები მხოლოდ ყალბია და მიმსგავსება **სპერმინ-პელისა. ფლაკონი** ღირს 3 მან. ლიტერატურა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე უფასოდ 290 Органотерапевтическiй институтъ.

Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и СЫНОВЬЯ.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ.
(Метцль и К-о. № 177994). (8—6.—7)

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.